www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2021

25.05.2022
www.geostat.ge

25.05.2022

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2021 წელი

შემოსავლები

2021 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობამ 1 360.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 13.9 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები 2011-2021 წლებში.

დიაგრამა №1

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები



25.05.2022

2021 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 11.0 პროცენტით გაიზარდა და 1 221.8 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 13.5 პროცენტით გაიზარდა და 364.8 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2011-2021 წლებში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2021 წელს, გასულ წელთან შედარებით, 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 86.0 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით, 2011-2021 წლებში.

დიაგრამა №3

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით

(%)



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური საშუალო თვიური შემოსავლების მოცულობა ქალაქის ტიპის დასახლებებში 12.7 პროცენტით გაიზარდა და 842.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 15.8 პროცენტით გაიზარდა და 517.6 მილიონი ლარი შეადგინა.

2021 წელს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში კვლავ მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის წილი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 45.9 პროცენტი შეადგინა. ასევე 0.8 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი და 10.2 პროცენტს უტოლდება. ამასთან, პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და სოციალური დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 22.6 პროცენტი შეადგინა.

25.05.2022

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2021 წელს.

დიაგრამა №4

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2021 წელი



ხარჯები

2021 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1 289.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.4 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები, 2011-2021 წლებში.

დიაგრამა №5

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე 11.5 პროცენტით გაიზარდა და 1 158.3 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 14.0 პროცენტით გაიზარდა და 345.9 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2011-2021 წლებში.

დიაგრამა №6



2021 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში თითქმის უცვლელია და 70.1 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, 2011-2021 წლებში.

დიაგრამა №7

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით
(%)



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური ხარჯების მოცულობა ქალაქის ტიპის დასახლებებში 11.7 პროცენტით გაიზარდა და 798.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 19.0 პროცენტით გაიზარდა და 491.2 მილიონი ლარი შეადგინა.

2021 წლის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში კვლავ ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს უჭირავს და 43.7 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2021 წელს.

25.05.2022

დიაგრამა №8

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2021 წელი



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge